სპეციალური მასწავლებლის ფუნქციები და მოვალეობები

სპეციალური მასწავლებელი – არის მასწავლებელი, რომელიც ასწავლის სპეციალურისაგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს და ხელს უწყობს მის ჩართვას საგანმანათლებლო პროცესში - დაწყებით, საბაზო ან საშუალო საფეხურზე.

სპეციალური მასწავლებლის მუშაობის ფორმები

სპეციალური მასწავლებელი წინასწარ განსაზღვრული განრიგით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობს ინდივიდუალურად ან ჯგუფურად, მათ შორის რესურს-ოთახში, ასევე ქმნის საგანმანათლებლო რესურსებს; აღსანიშნავია, რომ დასაშვებია სსსმ მოსწავლეს არ ჰქონდეს რესურს ოთახით სარგებლობის საჭიროება და სკოლის შიდა გუნდის რეკომენდაციით, ის არ საჭიროებდეს დამატებით ან განრიგით მეცადინეობას რესურს ოთახში. ამ შემთხვევაში სპეციალური მასწავლებელი საგნის მასწავლებლებს აძლევს რეკომენდაციებს და ახორციელებს სსსმ მოსწავლის სწავლების მხარდაჭერას კონსულტირებით და რეკომენდაციებით.

სპეციალური მასწავლებლის მიერ სსსმ მოსწავლის შეფასება სასკოლო გარემოში

იმისთვის, რომ დაიგეგმოს სწავლება ჩართულობა, ჯერ მნიშნელოვანია, სპეციალურმა მასწავლებელმა უზრუნველყოს სსსმ მოსწავლის აკადემიური, კოგნიტური, კომუნიკაციური, სოციალური, ფსიქოემოციური, ქცევითი, ფუნქციური და მოტორული უნარების შეფასება და განსაზღვროს სწავლებისთვის მნიშვნელოვანი
სტრატეგიები, ასევე შეფასების საფუძველზე მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენასა და განხორციელებაში. შეფასებას ის ახორციელებს დაკვირვების, ინტერვიუერების, სხვადასხვა ტესტების ჩატარების დახმარებით.

თანამშრომლობა მშობლებთან და მასწავლებლებთან

სპეციალური მასწავლებლის თანამშრომლობა მშობელთან, კლასის დამრიგებელთან და მასწავლებლებთან ძალიან მნიშვნელოვანია, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლებასა და მათი ქცევის მართვაში კონსულტაციის გაწევისა და პრაქტიკული დახმარების აღმოჩენის მიზნით, ეს შეიძლება ეხებოდეს სწავლების, ქცევის მართვის, ეფექტური სასწავლო სტრატეგიების, ფუნქციური უნარების, კომუნიკაციის, მეტყველების და სხვა უნარების განვითარების სპეციფიურ საკითხებს. ის თანამშრომლობს ინკლუზიურ განათლებაში ჩართულ სხვა სპეციალისტებთან და კოორდინაციას უწევს მათ მუშაობას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლესთან;

კომუნიკაციის ალტერნატიული საშუალებების სწავლება და გამოყენება

ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, თუკი სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს აქვს კომუნიკაციის სირთულე, სპეციალური მასწავლებელი საჭიროების შემთხვევაში ასწავლის კომუნიკაციის დამხმარე და ალტერნატიული საშუალებების გამოყენებას და ეხმარება მასწავლებლებს, მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელსა და ინკლუზიურ განათლებაში ჩართულ სპეციალისტებს, გამოიყენონ კომუნიკაციის დამხმარე და ალტერნატიული საშუალებები კომუნიკაციის სირთულის მქონე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლესთან ურთიერთობისას (ჟესტური ენა, ბრაილის შრიფტი, სურათებით კომუნიკაციის მეთოდი).